ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1900 შაბათი, 2 დეკემბერი № 1315

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.

გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

(ცალკე)

დირს წელიწადში 6 მანეთი

თვეში 75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში, ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში № 27.

ჟურნალი „მოამბის" წლიურ ხელის მომწერელს „ცნობის ფურცელი" გაეგზავნება უფასოთ.

რედაქცია

„ცნობის ფურცლისა" და „მოამბისა",

ახალი შენობის დამთავრებამდე, დროებით იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე თამამშოვის სახლებში, ვილლარეტის აფთიაქის გვერდით.

რედაქცია ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობა აცხადებს,

რომ დაცლილია

ჭინარეხის

სკოლის მასწავლებლის ადგილი, და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიჰმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექმნება 350 მანეთი.

3—2

ტფილისის კერძო

სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მეღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

ა. ნ. მატიაშვილი—თვალისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგიაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: გუგია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წღ.) მიხეილ გედევანიშვილი.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთი"-ს გამგეობა ამით აცხადებს ღვინით მოვაჭრეთა საყურადღებოდ, რომ საზოგადოების „კახეთი"-ს ეტიკეტი (სავაჭრო ნიშანი) მთავრობისაგან არის დამტკიცებული, და ვინც საქონელზე იმ გვარსავე ან მგზავსს ნიშანს დასვამს, სამართალში იქმნება მიცემული, როგორც ეს დაემართა ღვინის მოვაჭრეს ა. დ. თუშურიანცს, რომელსაც „კახეთი"-ს საზოგადოების ეტიკეტების სარგებლობისათვის სასამართლომ მიუსაჯა სამი კვირით დაპატიმრება. (ნ. 3—3)

ქართველთა საალებ-მიცემო

ამხანაგობა

„შუამავალი"

ამით აცნობებს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომ ნოემბრის პირველიდან ამხანაგობის მაღაზია გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, ოქროევის შენობაში (ცირკის გვერდზე). მაღაზია ვაჭრობს საუკეთესო ღირსების ყოველივე სანოვაგით, ყველანაირის სასმელებითა და კოლონიალურის საქონლით. (5—5)

ამხანაგობა „შრომა"

ხვალ, 3 დეკემბერს, დანიშნულია ტფილისის დურგალთა ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება. ეს ამხანაგობა უფრო მეტის ყურადღების ღირსია, ვიდრე მან დაიმსახურა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებისაგან და ქართველ საზოგადოებისაგან.

ტფილისის ხელოსანთა უნუგეშო მდგომარეობის შესახებ ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ; ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. ხელოსანი ბევრს მუშაობს, დღე და ღამ მოსვენება არა აქვს, ანტიჰიგიენურ პირობებში სცხოვრობს; სამაგიეროს კი მეტად ცოტას იღებს ცხოვრებისაგან. ნაწარმოების ფასი დაეცა, ბაზარი შევიწროვდა, მოთხოვნილება გაიზარდა, საშუალება შემცირდა. ამგვარი პირობები, რასაკვირველია, მეტად შეავიწროვებდნენ ხელოსნებს და უმრავლესობა მათგანი დიდ სიღარიბეში სცხოვრობს. უნუგეშო მდგომარეობა მით არის კიდევ საშინელი, რომ ხელოსანს შეძლება არა აქვს შავი დღისათვის გადადვას რამ, ასე რომ ავად თუ გახდა რამდენიმე ხნით, მისი ცოლშვილი დიდს გასაჭირში ვარდება...

ხელოსანთა ამგვარი მდგომარეობის მიზეზთა შორის უმთავრესია მრეწველობის ახალი პირობები. ამ ჟამად ეითარდება მსხვილი წარმოება; ფაბრიკა და ქარხანა ართმევენ სამუშაოს ხელოსანს მით, რომ ამზადებენ დიდძალ საქონელს და ჰყიდიან მას იაფად. ფაბრიკა და ქარხანა, სადაც სარგებლობენ ათასგვარ მანქანა-მოგონებით, სადაც ერთბაშად და იაფად ჰყიდულობენ შეუმუშავებელ მასალას, უფრო ახერხებენ წარმოების გაიაფებას და უფრო მარჯვედავრცელებენ თავიანთ ნაწარმოებს. ამიტომ, სადაც ჰყავის ფაბრიკა და ქარხანა, იქ ხელოსანს უძნელდება საქმე. იგი ვერ უწევს კონკურენციას მექარხნეს და, ბოლოს, ხდება უბრალო მუშად მის ქარხანაში.

ჩვენში ჯერ მსხვილი წარმოება არ დამკვიდრებულა; იგი ეხლა იკიდებს ფეხს მხოლოდ და ამიტომ ჩვენში, ისეთ დიდ ქალაქებშიაც კი, როგორც ტფილისია, მრავლად ვხედავთ დამოუკიდებელ ხელოსანთ. მაგრამ, რადგანაც მრეწველობის ახალი ხანა ჩვენშიაც იწყებს თავის გამანადგურებელ მოქმედებას, ხელოსანთა წარმოებას უჩნდება ბევრი სიძნელე. უმთავრესი ამ სიძნელეთაგანი კაპიტალის უქონლობაა მასალის საყიდლად და ბაზრის თანდათან დაკარგვა. ორსავე ამ სიძნელის ასაშორებლად ხელოსანი იძულებულია მიჰმართოს შუამავალსა და ფულიან კაცს. აქედან ჩნდება ჩარჩობა სახელოსნო საქმეში. ხელოსანი იძულებულია დიდის სარგებლით აიღოს სესხი; ნაწარმოების გასავრცელებლად კი საქმე დაიჭიროს ვაჭართან და არა პირდაპირ მომხმარებელთან. ამრიგად ხელოსანი ხელში უვარდება ჩარჩს, და რაკი ერთხელ გაება მის ქსელში, იქიდან თავს ეღარ დაიძვრენს...

ამგვარ უნუგეშო პირობებთან საბრძოლველად ხელოსნებს აქვთ თითქმის მხოლოდ ერთი გამოსადეგი საშუალება. ეს არის: ასოციაციების დაარსება. მართალია, მწარმოებელ ასოციაციებს სასწაული არ შეუძლიანთ მოიქმედონ, არ შეუძლიანთ შეაჩერონ მსხვილი წარმოების გამარჯვება, მაგრამ შეუძლიანთ შეუმსუბუქონ ხელოსნებს მდგომარეობა, გააუმჯობესონ მათი ყოფა-ცხოვრება და, საზოგადოდ, გაუადვილონ ახლანდელ ცხოვრების სასტიკ პირობათა ატანა. ამიტომაც, დასავლეთ ევროპაშიაც და რუსეთშიაც მათ გაიჩინეს სხვა და სხვა ამხანაგობები და საერთო მაღაზია-ქარხნები, რათა საერთო შრომით და შეერთებულის ძალით შეებრძოლონ ხელშემშლელ გარემოებათ. ამგვარ ასოციაციების შორის უფრო მეტი სარგებლობა მოიტანეს იმ ამხანაგობებმა, რომელთაც საგნად დაისახეს მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის მჭიდრო კავშირის დაარსება, ვაჭარ ჩარჩის განდევნა სახელოსნო საქმიდან...

გაჭირვებულმა მდგომარეობამ ბოლოს ტფილისის ქართველ ხელოსნებსაც ჩააგონა კეთილი საქმე: მათაც განიზრახეს შეკავშირება საზოგადო საქმისათვის. ოთხი თუ ხუთი წლის წინად ხელოსნის—მ. ჩოდრიშვილის მეთაურობით შესდგა პატარა წრე ხელოსნებისა, რომელთაც გარდასწყვიტეს საერთო ქარხნის და საერთო საწყობის დაარსება. შემუშავებულ იქმნა წესდების პროექტი, რომლის 1-ლი მუხლი ამბობდა, რომ ხელოსნებს (განურჩევლად ხელობისა) საგნად აქვთ შეერთებულის ძალით დამოუკიდებლად წაიყვანონ თავისი საქმე და განთავისუფლდნენ ჩარჩების შუაკაცობისაგან ნაწარმოების გასაღების საქმეში. წესდება წარედგინა დასამტკიცებლად სათანადო მთავრობას, ხოლო ხელოსნებმა, პირველ ხანებში მარტო დურგლებმა, გაიჩინეს საერთო სახელოსნო და საწყობი... პირველად მათი საქმე თითქოს კარგად წავიდა: საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება ახალს საქმეს და ყველას იმედი მიეცა, რომ პატარა ამხანაგობა იხეირებდა...

სამწუხაროდ, ეს იმედიც მალე გაქრა, როგორც არა ერთხელ გაცრუებულა იმედები ჩვენებურ ამხანაგობა-დეპო-ბანკებზე. საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, რომ ამხანაგებს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა, დასდასობა, ინტრიგანობა და სხვა ამგვარები გაჩნდაო, რომ ხელოსნების საქმეში ჩაერივნენ ისეთები, რომელთაც არაფერი საერთო არ ჰქონდათ ხელოსნობასთან და უარესად არივ-დარივეს საქმეო. ახალის საქმის მოთავეებმა ვერ გამოიჩინეს ინიციატივა, უნარი, ვერ მოაწყეს საქმე ისე, რომ დაემსახურებინათ და შეერჩინათ საზოგადოების ყურადღება, გაეიაფებინათ ნაწარმოები და მოეპოვებინათ ბაზარი, ეშოვნათ საკმაო თანხა და გაეფართოვებინათ საქმე...

ამ ხანებში ამხანაგობას მოუვიდა უკვე ცნობა წესდების დამტკიცების შესახებ. როგორცა სჩანს „ივერია"-ში დასტამბულ განცხადებიდან, ამხანაგობას განზრახვა აქვს მომავალ წლიდან მოაწესრიგოს თავისი საქმეები წესდების თანახმად. წესდება, რასაკვირველია, ვერ უშველის საქმეს, რაც უნდა კარგად იყოს დაწერილი იგი. საჭიროა საქმეში მონაწილეებმა შეიგნონ, რომ მხოლოდ ნამდვილი შეკავშირება მისცემს მათ ძალას, ხოლო ერთმანეთში უბრალო და წვრილმანი ქიშპობა განზრახულს საქმეს დაღუპავს სრულიად... ჩვენ ვურჩევთ ხვალინდელს კრებას—დინჯად და სინიდისიერად განიხილოს წარსული მოქმედება, გამოიკვლიოს საქმის ცუდად წასვლის მიზეზები, გამოსძებნოს საშუალება დასაბრუნებელ თანხის გადიდები-

სათვის და ფრთხილად, მოფიქრებით აირჩიონ მეთაურები. მათ გამოუწყვიათ დიდი საქმე, რომელიც, თუ კარგად იქმნა წაყვანილი, საკმაოდ გააუმჯობესებს ქართველ ხელოსნების ყოფა-ცხოვრებას; თუ არა და, უარესს მდგომარეობაში ჩააგდებს მათ და მხოლოდ მტერს გაახარებს.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

30 ნოემბერს

ვაშინგტონი. აქ ცნობა მოვიდა, რომ სახელმწიფოთ მოილაპარაკეს საერთო ნოტის შესახებ, რომელიც უნდა წარუდგინონ ჩინეთს, და დაადგნენ საკეთილო დასკვნას — ყველა სახელმწიფონი შეთანხმდნენ ურთიერთ შორის ნოტის შინაარსის შესახებ. ამბობენ, პირობანი, რომელიც უნდა წარუდგინონ ჩინეთს, მდგომარეობს იმაში, რაიც საზოგადოდ იმპერიის კანცლერმა წარუდგინა გერმანიის რეიხსტაგს 6 ნოემბერს და ამასთანავე ამოშალა სიტყვები „შეურყეველი გადაწყვეტილება.“

ჟურნალ-გაზეთებიდან

∝ ბერლინის გაზეთებს ამნაირი ცნობა მოსვლიათ ნიუ-იორკიდან შესახებ ამერიკული გაზეთების შეხედულობისა ბურების საქმეზედ:

«ამერიკული პრესსა მცირე ყურადღებას აქცევს პრეზიდენტ კრიუგერის მოგზაურობას; მას სულაც არ გაჰკვირვებია იმპერატორ ვილჰელმის საქციელი. გაზეთები სინანულს აცხადებენ ბურების სამწუხარო ბედის გამო, მაგრამ მაინც უიმედოთ სთვლიან მათ მდგომარეობას. ზოგიერთი გაზეთები ურჩევენ ბურებს, რომ მათ მიჰმართონ დედოფალს ვიკტორიას და სთხოვონ უფრო ზომიერი პირობები, სანამ სრული მორჩილება თრივე რესპუბლიკისა. ამ გაზეთების აზრით, ინგლისელები, თავიანთ საკუთარი სარგებლობის გულისათვის, ეხლა უფრო მეტ დიდსულოვნობას გამოიჩენენ.

გაზეთი «ვორლდ»-ი ისევ წინანდებურად მეცადინეობს, რომ ბურები ამერიკაში გადასახლებულ იქმნენ».

∝ ერთ ინგლისელ მაღალ წარჩინებულ პირს უთქვამს გაზეთ «ლეიპციგერ ტაგებლატ»-ის და «ნეუე ფრეიე პრესსე»-ს კორესპონდენტებისათვის, ვითომ ინგლისის მთავრობას ამ ნაირად ეწადოს ბურების ბედის გადაწყვეტა:

«კრიუგერის მოგზაურობას ევროპაში იქნება მოჰყვეს შედეგად ის, რომ ბურები დაემორჩილებიან ინგლისს და მიიღებენ შეღავათს, რომლის მიცემა მხოლოდ-და შეუძლიან ამ ჟამად ინგლისს; ეს შეღავათი არის: დაარსება ბურების ახალი რესპუბლიკისა ტრანსვაალის ჩრდილოეთ ნაწილში. ჯერ ეს ბეჯითად არა აქვს გადაწყვეტილი ინგლისს, მაგრამ ის-კი ნამდვილია, რომ მთავრობამ მხოლოდ ამ გარეოების მიზეზით არ შეატყობინა აქამდე ოფიციალურად სახელმწიფოებს რესპუბლიკების შემოერთების შესახებ.

ამისთვის ინგლისის მთავრობა შემდეგ აუცილებელ პირობას სდებს: კრიუგერმა უნდა გამოაცხადოს, რომ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკები სრულიად დაემორჩილნენ ინგლისსა.

იმედი აქვთ, რომ გერმანია ჩააგონებს და დაარწმუნებს კრიუგერს ამ დამორჩილების საჭიროებაში და ამით დიდ სარგებლობას მოუტანს ბურების საქმეს».

ახალი ამბავი

✦ განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გამოერჩია ტიპი სამრეწველო სკოლისა ავლაბარში წინად განზრახულ კლასიკურ პროგიმნაზიის მაგიერ, იმ აზრს დაადგა, რომ უმჯობესი იქნება გაიხსნას ავლაბარში საშუალო ტიპის მექანიურ-ტეხნიკური სკოლა სამთოსამადნო განყოფილებით (ამგვარი ტიპის სკოლა ტაგანროგში ყოფილა). კომისიის გამოანგარიშებით, სკოლა დაჯდება წლიურად 40,000 მანეთი. აქედან ქალაქმა უნდა მიიღოს თავის თავზე, კომისიის აზრით, 15 ათასი მანეთი წლიურად.

✦ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც დანიშნული იყო გუშინ, 1 დეკემბრისათვის, აგრონომი საკოვის მოხსენების განსახილველად — თუ რა ზომები იქმნეს მიღებული ახალქალაქის მაზრაში ყანების გამანადგურებელ მწერის „ბალინჯოს“ — თან საბრძოლველად, გადაიდვა სხვა დროსათვას, რადგანაც საზოგადოებას მეტად ბევრი საქმეები აქვს მომავალ კავკასიის გამოფენის გასამართავად.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ბ-ნი სვეჩინის თავმჯდომარეობით 29 ნოემბერს შესდგა სახალხო სახლის ამშენებელ კომისიის კრება, რომელსაც დაესწრნენ მოწვეულნი პირნიც — ადგილობრივ ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელნი. კრება იმ აზრს დაადგა, რომ საჭიროა ეხლავე შეუდგნენ კერძო შემოწირულებათა შეკრებას, რათა გაზაფხულზე შესაძლებელი იქმნეს შეუდგნენ „სახლის“ აშენებას. შემოწირულება მიიღება როგორც კომიტეტის წევრებისაგან, ისე ადგილობრივ გაზეთების რედაქციებშიაც.

როგორც ისმის „ტფილისის არტისტიულ საზოგადოების“ ზოგიერთ წევრებს განზრახვა აქვთ დაეხმარონ „სახალხო სახლს“ თავიანთ წარმოდგენების ბილეთების ფასების მომატებით — თითეულ ბილეთის ფასს ხსენებულ „სახლის“ სასარგებლოდ მიემატება შაური. („ნოვ. ობ.“).

✦ განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს რიბინსკის უკვე დაუმთავრებია გრაკალის და კასპს შუა მომხდარ მატარებლების დატაკების საქმის გამოძიება. პასუხის გებაში არიან მიცემულნი, როგორც ბრალდებულნი — სადგურ გრაკლის რკინის გზის აგენტი გორის მაზრის აზნაური კეზელი, იმავე სადგურის მეისრე გლეხი ნესტორ ტაბიძე და მგზავრთა მატარებლის ობერ-კონდუკტორი იუდინი.

✦ ტელეგრაფისა და რკინის გზის ელეკრო-ტეხნიკების წარმომადგენელთა მეშვიდე კრებამ დაადგინა იშუამდგომლონ გზათა მინისტრის წინაშე, რათა დაარსებულ იქმნას რკინის გზებზე რაც შეიძლება მეტი პროფესიონალური სკოლები სატელეგრაფო ზედამხედვლების მოსამზადებლად.

✦ მის ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს ფლაბიანეს შუამდგომლობა აღ ძრავს უწმინდესის სინოდის წინაშე, რათა ქართულ საეპარქიო სამ-სწავლო საბჭოს მიეცეს მეტი უფლება ექზარხატის საეკკლესიო სკოლების შესახებ. ეხლა ხსენებული საბჭო შესდგება: თავმჯდომარის — ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორისაგან, სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების ზედამხედველისაგან, სემინარიის რამდენიმე მასწავლებელთაგან და ორ-სამ მოწვეულ პირთაგან. ახალის პროექტით საბჭოს თავმჯდომარე თვით ექზარხოსი იქნება და გარდა აღნიშნულ წევრებისა საბჭოში იქმნებიან მთავარ-მართებლისა და საგუბერნიო ადმინისტრაციის წარმომადგენელნი. („ნოვ. ობ.“).

✦ ქ. ბათუმის ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1901 წლისთვის: შემოსავალი 501,138 მ. გასავალი — 490,485 მ აქედან ქალაქის მოწყობისათვის უნდა დაიხარჯოს 168,377 მ. ქალაქის გამგეობის შენახვისათვის 43,054, ვალის გადახდისათვის 41,920 მ. 50 კ. სასახალხო განათლებისათვის — 35,260 და პოლიციის შენახვისათვის — 35,152. ქალაქის საყასბოს დასჭირდება — 59,347, მისი მოსალოდნელი შემოსავალი — 59,361 მანეთი.

✦ ბათუმის ქალაქის საბჭოს მიუღია ინჟინრების მიხაილოვის და პომორსკისაგან წყლის მილის პროექტი, რომლის მიხედვით ეს საქმე უნდა დაჯდეს 450 ათასი მანეთი. ამასთანავე გამგეობამ დაადგინა, იშუამდგომლონ სათანადო მთავრობის წინაშე, რათა ეს ხარჯი გადადებულ იქმნას ნავთ-სადგურის შემოსავლიდგან. („ნოვ. ობ.“).

✦ ხუთშაბათს, 30 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სხდომაზედ გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარადგინა განსახილველად მოხსენება საბურთალოსა და მის გარეშემო მდებარე ადგილების ქალაქზედ მიწერის შესახებ. როგორც ამ საქმის შესახებ წარდგენილ ცნობებიდან სჩანს, ამ ადგილების გეგმის შესადგენად საჭირო იქმნება 8801 მანეთი. ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა მთელი ამ საქმის შესახებ წარდგენილი ცნობები, დაადგინა: 1) დაევალოს ქალაქის გამგეობის წევრს თავ. ჩერქეზიშვილს ქალაქის ინჟენერის თანამდებობის აღმასრულებელთან ერთად დაათვალიეროს საბურთალო და მის ახლო მდებარე ადგილები იმის გამოსარკვევად, თუ როგორ დაჯდება ამ ადგილებში შენობების აგება და აგრეთვე იმისი, თუ რამდენი ქუჩა უნდა იქმნას გაყვანილი და რამ სიდიდე, და 2) დაევალოს აგრეთვე თავ. ჩერქეზიშვილს მოელაპარაკოს ადგილობრივ მცხოვრებლებს, თუ რა მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ იმ ხარჯში, რომელიც საჭიროა ქალაქმა გაიღოს აღნიშნულ ადგილების გეგმის შესადგენად და გასაწესრიგებლად.

✦ ამავე დღეს ქალაქის გამგეობას წარედგინა განსახილველად ხმოსან კუჩარიანცის განცხადება, რომელშიაც იგი სთხოვს ქალაქს განთავისუფლებულ იქმნენ ნიკოლოოზის ხიდის ქვემოდ მტკვრის მარცხენა ნაპირზედ გაკეთებული წისქვილები სახელმწიფო და ქალაქის გარდასახადებისაგან, რადგანაც ამ ადგილებზედ მტკვარი იმდენად დაშრა, რომ წისქვილები აღარ მუშაობენ და არავითარ შემოსავალს არ იძლევიანო. ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა ეს განცხადება, დაადგინა დაევალოს ქალაქის სავაჭრო სამრეწველო პოლიციის უფროს ზედამხედველს დაათვალიეროს ბ-ნ კუჩარიანცისაგან განცხადებაში ნაჩვენები ყველა წისქვილები და წარმოუდგინოს ქალაქის გამგეობას ცნობები იმის შესახებ, თუ აღნიშნული წისქვილები მთელი დრო 1899 და 1900 წელს გაუქმებულნი იყვნენ, თუ მხოლოდ დროიდამ დრომდის არ მუშაობდნენ.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ მომავალ წლისათვის განზრახვა აქვთ მოუმატონ ტფილისის, მიხეილის სახელობაზე აგებულ რკინის გზის სკოლის შენობას და გახსნან პარალელური კლასები.

✦ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციას შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე, რათა მას ნება დაერთოს დახარჯოს გუბერნიის საერობო თანხიდან 2783 მ. და 49 კ. ცხინვალის ხიდის შესაკეთებლად.

✦ როგორც იტყობინებიან, გორის რკინის ხიდს შეკეთება სჭირდება, რაც 3156 მან. და 62 კ. დაჯდება საგუბერნიო ადმინისტრაცია შუამდგომლობს, რათა მიეცეს მას ეს ფულები.

✦ ტფილისის კომერციულ სკოლის დირექტორი ბ. ფიშერი შუამდგომლობს ფინანსთა მინისტრის წინაშე, რათა ნება მიეცეს მას გახსნას ხსენებულ სკოლასთან ბუჰლალტერიის, კომერციულ არითმეტიკის და გერმანულ ენის კურსები. თვითეულ საგნის სწავლა წლიურად ეღირება 20 მანეთი. კურსების გამგეობა სკოლის დირექტორის ხელში უნდა იქნეს.

✦ ტფილისის წმ. ნინოს ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის მაგიერი კნ. ძ. შერვაშიძისა თავს ანებებს თავის თანამდებობას.

✦ დღეისთვის დანიშნულია სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა შტატის რეორგანიზაცია. დღეს განიხილავენ კითხვას შესახებ ჯამაგირების მომატებისა ყოველ ხუთის წლის სამსახურისავის.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრ თ არღუთინსკიმ წარუდგინა ქალაქის თავს მი გან შედგენილი პროექტი სავალდებულ დადგენილებათა შესახებ ნახშირით ვაჭრო ბისა ქალაქში. ქალაქის გამგეობამ დაადგინ განიხილოს ეს პროექტი განსაკუთრებუ სხდომაზე 8 დეკემბერს, რომელზედაც მოწვეულ უნდა იქმნან ტფილისის პოლიცმეის ტრის თანამდებობის აღმასრულებელი დ ტფილისის მაზრის უფროსი.

✦ რაჭიდან გვწერენ, რომ აქაურის სამრევლო სკოლების ზედამხედველის მღვ. ჭელიძის მეოხებით ცოცხლათ მიდის სკოლების დაარსების საქმე. ამ ერთის წლი განმავლობაში რამდენსამე სოფელში გახსნა სამრევლო სკოლები.

✦ როგორც „ნორ დარს“ ატყობინებე ახალციხეში დაარსებულა **ახალი საზოგადო** ბა. რომლის მიზანია დაეხმარო ადგილობრივ სკოლების მოსწავლეებს განურჩევლა წოდებისა და ეროვნებისა.

✦ როგორც სომხურ გაზეთ „ნორ-დარს“ სწერენ, ახალციხეში ქალაქის თავის ინიციატივით შემდგარა თეატრის მოყვარულთ კრება: ქალაქის მოურავმა განაცხადა კრებაზე, რომ სასურველია წელსაც გაიმართებოდეს საქველ-მოქმედო წარმოდგენები ადგილობრივ სკოლების დასახმარებლადო. დამსწრენი სიამოვნებით დაეთანხმნენ თავმჯდომარის წინადადებას და ამოირჩიეს კომისია საქმის გასაძღოლად პირველი წარმოდგენა ამ დღეებში გაიმართება. („ნოვ. ობ “

✦ რკინის გზის ტეხნიკების მომავალ კრებაზედ დაწვრილებით განიხილავენ, თუ რ სპეციალური ცოდნა და გამოცდილება მოთხოვებათ იმ მაშინისტებს, რომელნიც უნდ გაჰყვნენ მგზავრთა მატარებლებს.

✦ „ჩერნომ. ვესტნიკის სიტყვით, განზრახვა აქვთ მოიწვიონ ბათუმის საქალებ გიმნაზიის უფროსად ტფილისის პირველ საქალებო გიმნაზიის უფროსი ქ-ნი კლაუსი.

✦ 8 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად საქმე ტფილისის საკრედიტო საზოგადოების ბუჰლალტრის პოტკოვისა, რომელსაც ბრალად ედება, რომ ხუბლაროვი მაგარ სასმელების გამოსახდელ ქარხანაში ყოფნის დროს გაფლანგა საამხანაგო ფული — სულ 2,000 მანეთი.

✦ როდესაც ქალაქის გამგეობა შეუდგ კამბეჩებისა და ხარების მეპატრონეთაგა გარდასახადის წესის შემუშავებას, აღიძრ აგრეთვე საკითხი იმის შესახებ — გარდაახდევინონ თუ არა ესევე გადასახადი სახედრების მეპატრონეთაც; ეს საქმე განიხილ ქალაქის გამგეობამ. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამ წლის სექტემბრის თვეში და დაადგინა შემოღებულ იქმნას სახედრებზედაც გარდასახადი. რადგანც გარდასახადი შემოიღეს თებერვალში, ხოლო დადგენილება მოხდა სექტემბერს, ქალაქის გამგეობის წევრმა თავ არგუთინსკი-დოლგორუკოვმა იკითხა: სახედრებზედ გაწერილ გარდასახადის დროზედ შემოუტანლობისათვის მეპატრონეთ გარდახდებათ თუარა ჯარიმაცაო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა 1900 წელში სახედრების მეპატრონეთ არ გადახდეთ ეს ჯარიმა.

✦ „ივერიას“ სწერენ სოფ. ტობანიერიდან: „15 ნოემბერს აქ შემდეგი ამბავი მოხდა: სასწავლებლისა და სოფლის სამმართველოს მახლობლად, მდინარე ყუმურის მარჯვენა ნაპირზე, დიმ. ნაფეტვარიძე სცხოვრობს; იმის ეზოში, სახლისა და სამზარეულოს გარდა, მოთავსებულია პარკის სახმობი ფარდულები, ბამბის საპენტი მანქანა და სხვა საღგომები. თვითონ დიმ. ნაფეტვარიძე იშვიათად არის სახლში; მომეტებულ ნაწილად ქ ტფილისში იმყოფება და თან სხვა-და-სხვა ქალაქებში დადის სავაჭრო-სამრეწველო საქმეებისა გამო; ოჯახური საქმეები კი მამასა და ძმაზე აქვს მინდობილი. საღამოს 6 საათი იქნებოდა, რომ უცბად გულშემზარავი კივილი შეიქმნა; გარედ გამოვარდნისათანავე

მინელი სურათი დავინახეთ; დიმ. ნაფეტ- რიძის ოთხ თვლიან სადგომს —ოდას ცეცხ- ი მოსდებოდა და ალი ხუთის საჟენის სი- ლეზე იყო ასული. ყოველი მხრიდან მა ნვე ხალხი მოაწყდა, მაგრამ ველარა უშ- ლეს-რა, რადგანაც ხალხის შეკრებამდე სა- ერავი და ქერი უკვე ჩამწვარიყო, ყველა ვეთები და ოჯახის მორთულობა დაიწვა; აფერი არ გადარჩენილა; როგორც იყო, იდის მეცადინეობით, ხალხმა ცეცხლისაგან არდულები, სამზარეულო და სხვა სადგო- ები გადაარჩინა. მადლობა ღმერთს კიდევ, ომ ქარი არ ამოვარდა, თორემ ცეცხლი ამ მაშინ დიდს ზარალს იზამდა. ცეცხლის ჩენის მიზეზი დღესაც არ იციან; ვერ გა- იკვლიეს, გარედან გაჩნდა თუ შიგნიდან. იმ. ნაფეტვარიძეს ეს მეორეჯერ დაეწვა ხლი, მაგრამ ზარალი ეხლა მეტია, რადგა- აც ველარა გადაარჩინეს-რა. ეჭვი მახლო- ელ მეზობელზე არის მიტანილი. 17 ნო- მბერს ბოქაული ბ-ნი იაშჩენკოც გამოძიე- ის მოსახდენად მოვიდა. ბევრს ეგონა, რომ ახლი დაზღვეული ექნებოდაო, მაგრამ არ ლმოჩნდა.

◆ პარასკევს, პირველ დეკემბერს, ხმო- ანმა ა. ბაბოვმა შეიტანა ტფილისის ქალაქის გამგეობაში განცხადება, სადაც ხმოსანი მტკიცებს, რომ გამგეობა მოიქცა უკანონოდ, როცა მან ნება მისცა არტისტიულ აზოგადოებას გოლოვინის პროსპექტზე აგებულ შენობის წინ ვერანდა გაეკეთებინა. მოსანი თხოულობს, რათა მისი განცხადება წარედგინოს ქალაქის საბჭოს განსახილველად გამგეობის მოქმედებისა, რომელიც ეწინააღმდეგება ქალაქის საბჭოს მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა.

◆ საჭიროა ყურადღება მიეპყროს შემდეგ გარემოებას: რიყის ქუჩა ერთი იმ ქუჩათაგანია, რომელზედაც დიდი მოძრაობაა; ამ ქუჩის ორივე ნაპირებზე თითქმის ორი თვეა ცხენის რკინის გზის მმართველობისაგან დაყრილია რკინის გზის რელსები, რისგანაც მეტად შევიწროებულ მდგომარეობაშია ხალხი. ამ საქმის შესახებ უკვე ქალაქის საბჭოშიაც იყო აღძრული საკითხი, მაგრამ დღემდე არავითარი განკარგულება არ მოუხდენიათ.

◆ გუშინ, 1 დეკემბრის, ბაზასხანაში, დემუროვის კოლონიალურ მაღაზიაში, გაჩნდა ცეცხლი. პირველად ცეცხლმა იჩინა თავი სარდაფში და მერე გადავიდა დემუროვის მაღაზიაში. არეულობა მეტად დიდი იყო, რადგანაც ადვილად შესაძლებელი იყო ცეცხლი მეტად გაძლიერებულიყო; დახურული ბაზარი ხომ ცეცხლისათვის ნამდვილი მესაფერი ასპარეზია. საბედნიეროდ ცეცხლის მქრობელი რაზმი დროზედ გაჩნდა და ცეცხლი მალე გააქრეს. ზარალი ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი. იმდენი არ დამწვარა, რამდენიც ცეცხლის გაქრობის დროს წახდა. დემუროვის მაღაზია დაზღვეული ყოფილა «სალამანდრას» საზოგადოებაში 4000 მანეთად. ცეცხლის გაქრობას დაესწრო ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწეობის აღმასრულებელი ბ. კოკოლაძე. გადამწვარი ადგილი ინახულა კავკასიის მთავარმართებელმა გ. ს. გოლიცინმა.

◆ გუშინ, პარასკევს, 1 დეკემბრის, პოლიციის მე-7 ნაწილში, კახეთის ქუჩაზე, არუთინოვის სახლში მცხოვრებმა რაჭამ-იბრაჭამ ოღლიმ გამოუცხადა პოლიციას, რომ 1 დეკემბერს, ღამე, იმ დროს, როდესაც იგი შინ არ იყო, ვიღაც ბოროტ-განმზრახველს გაუტეხია მისი სახლიდან ყუთი. ყუთში მქონდაო, განაცხადა რაჭამ-იბრაიმ ოღლიმ, 700 მან. ფულად, საჭირო ქაღალდები და ვექსილები 300 მანეთისა და სხვა ნივთებიო. განცხადებისთანავე პოლიციამ მიიღო ზომები ბოროტ-განმზრახველთა აღმოსაჩენათ და ჩქარა კვალს მიაგნო. ქურდებს ეუღიათ ყუთი დავიდოვის ტყის ქარხნის ახლო. გაუტეხიათ და ამოუღიათ ფული და ნივთები. სხვა ქაღალდები კი გადაუყრიათ.

◆ სოფ. სოღანლუღს ახლო (ტფილისის მაზრა) უპოვნიათ ვიღაც ადგილობრივ მცხოვრების გაცივებული გვამი.

◆ პარასკევს, 1 დეკემბერს, პოლიციის მე-9 ნაწილში გამოცხადდა მიხეილის პროსპექტზე მცხოვრები სარქის კართანოვი და განაცხადა, რომ ღამით ვიღაც ბოროტ განმზრახველს გაუტეხია ჩემი სახელოსნოო, საიდანაც წაუღია 4 მან. 50 კაპ. და სხვა ნივთები. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

პროვინცია

ბათუმი. ბათუმს რომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოსათვის, ეს ყველამ კარგათ ვიცით, და ამიტომაც მისი წინსვლის გათვალისწინება საინტერესო უნდა იყვეს ჩვენთვის. იგი შესამჩნევად და თვალსაჩინოდ წინ მიდის. ქალაქს ბევრი რამ აქვს დაწყებული და ბევრი უკვე გაკეთებულიც; მაგრამ ყველაზედ უწინ ის საგანი უნდა აღინიშნოს, რაც მართლა, დღეს ამშვენიერებს ჩვენს პატარა ბათუმს, რითაც იგი არა მხოლოდ თვით სარგებლობს, არამედ დიდად ემსახურება მასზედ მორტყმულ მხარეს და შესამჩნევ ღვაწლს სდებს მას ეს არის სწორედ ის შრომა, რომელიც ბათუმმა გასწია სწავლა-განათლების საქმის მოწყობაში. ეს შრომა წორედ მეტის-მეტად თვალსაჩინო და მეტად პატივსადებია და ამიტომაც ბათუმის განვითარების შესახებ შენიშვნებს აქედან დავიწყებ.

დღეს ბათუმს აქვს შემდეგი სასწავლებლები: ვაჟთა გიმნაზია, ქალთა გიმნაზია, მარიამის ქალთა სასწავლებელი, საქალაქო ექვს კლასიანი სასწავლებელი, სახელოსნო სასწავლებელი, ქალაქის პუშკინის სახელობაზედ გახსნილი სკოლები ქალთა და ვაჟთა, ქართული სკოლა, ბერძენთა ვაჟთა სკოლა, ბერძენთა ქალთა სკოლა, სამრევლო სკოლა და ორი კერძო სასწავლებელი ერთი ქალთათვის, მეორე ვაჟთათვის; იყო სომხური სკოლაც, მაგრამ იგი ამ რამოდენიმე წლის წინად დაიკეტა მთავრობის განკარგულებით ამდენი სასწავლებლები ისეთი ქალაქისათვის, რომელშიაც ირიცხება დღეს 30,000 მცხოვრები, შედარებით საკმაოდ უნდა ჩაითვალოს, მით უფრო, რომ როგორც გიმნაზიას, ისე საქალაქო სასწავლებელს აქვს უკვე თავ-თავისი პარალელური კლასებიც. რასაკვირველია, მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი ქალაქ გარეშე მცხოვრებლებისაა, და აი იმიტომ ვსთქვი, რომ ბათუმი დიდ ღვაწლსა სდებს მასზედ დაახლოვებულ ქუთაისის გუბერნიის ნაწილებს.

აღსანიშნავია აქ ისიც, რომ ყოველნივე ეროვნობას თავ-თავიანთი სკოლები აქვს, სამაგალითოდ მოწყობილი და პირველ დაწყებით სწავლის მიღებაში დიდათ ხელს უწყობს უღარიბესს ნაწილს თვის საზოგადოებისას და ბევრს ნაჭიერ ყმაწვილს უადვილებს განათლების გზაზედ დადგომას. მაგალითად, მოსაყვანია ჩვენი ქართული წერა-კითხ. საზოგადოების სკოლა, სადაც ისე ჩინებულად არის მომართული სწავლის საქმე, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ამ სკოლიდან 28 ბავშვი იქმნა მიღებული ადგილობრივ გიმნაზიაში არ არის არც ერთი ზემო დასახელებულ სასწავლებელთაგან, რომ ქალაქის თვითმმართველობისაგან შესამჩნევი დახმარება არ ეძლეოდეს და მისგან უყურადღებოდ ყოფილიყვეს მიტოვებული. თვითმმართველობამ არ დაიშურა არასფერი და გულ-უხვად მისცა სასწავლებლებს თვისი მიწებიც და ფულიც, ოღონდ კი ისინი დაეხსნა გაჭირვებისაგან და წარმატებაში შეეყვანა. რომ ნათლად დაინახოთ ეს გულ-უხვობა, ციფრებს მოვიყვან.

ამ ათი წლის განმავლობაში ქალაქმა მიასაკუთრა სკოლებს 6742 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, რაც სულ უკანასკნელი 146,290 მანეთი ღირს, ესეც 1891 წლის დაფასების მიხედვით; ამათში ქართულ სკოლას აქვს მიცემული 358 ოთხ-კუთხი საჟენი. ამას გარდა, ზოგიერთ სკოლებს შენობებიც აუგო, რისთვისაც დაუხარჯავს 299,000 მან., ასე რომ მიწა-შენობებით ნახარჯი აქვს ამ ათი წლის განმავლობაში 445,290 მან.; მაგრამ ქალაქის თვითმმართველობა ამაზედ არ შეჩერებულა და ყოველ წლიწადს ფულით ეწევა ყველა სკოლებს, - სულ 37,260 მანეთით*). ეს უკანასკნელი ციფრი უფრო სწორი მაშინ იქნება, როცა მას მივათვლით იმ სარგებელს, რომელს შემოიტანდა ქალაქისაგან სასწავლებელთათვის ანაგები შენობები 5% ანგარიშით, რაც შეადგენს 22,265 მან., - ასე რომ ნამდვილი ყოველ წლიური დახმარება ქალაქისაგან არსებულ სკოლებზედ გამოიხატება 59,525 მანეთით.

რომ უფრო ნათლად გამოიხატოს ბათუმის წინ წაწევა სწავლა-განათლების მოწყობის საქმეში ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში, საკმარისია, მე მგონი, შემდეგი ციფრების მოყვანა.

1890 წელს ქალაქს ჰქონდა 6 სასწავლებელი და მოსწავლეთა რიცხვი ყველაში ერთად იყო მხოლოდ 532, მათში 364 ვაჟი და 168 ქალი. ამ ხანად კი ყველა სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი 1655, ამათში 1195 ვაჟია და 460 ქალი, ე. ი. მოსწავლეთა რიცხვი გასამდა, ესეც მაშინ, როცა არც კლასიკური და არც საქალებო გიმნაზია დასრულებული არ არის ჯერ კლასსებით.

ქართველ მკითხველთათვის, სხვათა შორის, საინტერესო იქნება ქართული სკოლის მოსწავლეთა რიცხვის გაგება: 1890 წ. იყო მხოლოდ 47 ბავში, წლეულს კი 180 მოსწავლეა.

როგორც მკითხველმა დაინახა, ქალაქის თვითმმართველობას დასაფასებელი ღვაწლი მიუძღვის სწავლა-განათლების საქმის მოწყობაში.

კ—ი.

ქუთაისი. დასრულდა ქუთაისში თავადთა და აზნაურთა საარჩევანო კრება, მაგრამ დაუცხრომელი ქალაქი მაინც შფოთავს და ღელავს; საზოგადოება გაიყო ორ ნაწილად, და არ არის ოჯახი, სადაც თავათ-აზნაურთა უკანასკნელი საგანგებო კრების შედეგი და თავ. დ. ო. ნიჟარაძის საქციელი არ იწვევდეს გაცხარებულ ბაასს?. უმეტესობა, რასაკვირველია, არ ამართლებს თავ. ნიჟარაძეს და კმაყოფილია, რომ ის [illegible];

თუმცა ძნელია ამ გვარი საქციელის პატიება, მაგრამ ერთი ნაწილი საზოგადოებისა ამართლებს თავ. ნიჟარაძეს და ამტკიცებს, რომ ის არ არის გასამტყუნარი და დასაგმობიო. ამ მეორე ნაწილის აზრით, თავ. ნიჟარაძეს არავითარი სურვილი არ ჰქონია ეყარა კენჭი გუბერნიის მარშლობაზე, მაგრამ ის გამოიყვანეს მოთმინებიდან და საშინლად გააცხარეს. რასაკვირველია, ამ გვარი მოტივი არავითარი ყურადღების ღირსი არ არის, და, სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდეთ, რომ თავ. დ. ო ნიჟარაძემ ვერ გაამართლა ბევრის იმედები.

როგორც ხმა დადის, ამ არჩევნებით უკმაყოფილონი აპირებენ მიჰმართონ «ჩვეულებრივ» ხრიკებს, რათა დაარღვიონ იგი და ახალი ორგულობა და შეტაკება გამოიწვიონ, რაც მეტად გასაკიცხი და დასაგმობია.

ნარევი

ზღვის ქვეშ მოგზაურობა ამერიკიდან ევროპაში. რასაც უწინ მხოლოდ ოცნებობდნენ და ნატრობდნენ, ეხლა საქმედ გადაიქცევა. ნიუ-იორკში ამ ჟამად ემზადებიან საკვირველ მოგზაურობისთვის ჯონ გოლანდი, რომელმაც მოიგონა წყალ ქვეშ მოსიარულე ნავი, აპირებს ამერიკიდან ევროპაში წამოსვლას თავის ნავით: ეს ნავი ატლანტიის ოკეანეში მოგზაურობის დროს მუდამ წყალ ქვეშ იქნებაო. ეს ნავი მომგონ გოლანდისაგან შეიძინა შეერთებული შტატების მთავრობამ და ჩარიცხა თავის ფლოტში № მე 7-ედ. ეს ნავი დგას ბოღაზში და ჯერ აქამდე ნაპირიდან შორს არ წასულა. მხოლოდ ერთხელ გაიარა მან 160 ვერსი და მაშინაც ზღვის ნაპირს არ მოჰშორებია. ოკეანეში მოგზაურობა ამ ნავით აქამდე შეუძლებლად მიაჩნდათ, მაგრამ გოლანდს ჰსურს განახორციელოს ეს აზრი. მას უნდა წავიდეს ნიუ-იორკიდან, ბერმუდების კუნძულები გაიაროს და ევროპაში ლისაბონში მოვიდეს; მაშასადამე მან უნდა გაიაროს ზღვის ქვეშ 3,496 მილი.

ეს მოგზაურობა მომავალ წლის თებერვალს დაიწყება. გოლანდი კარგ ტაროსს უცდის, თუმცა კი მოგზაურობის დროს მას ჰსურს ისიც გამოსცადოს და გაიგოს, თუ რა ნაირად გამოდგება ეს ნავი ზღვის აღელების და აუშფოთების დროსაც; ამით გოლანდს უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ნავი გამოდგება არამცთუ მარტო ნაპირების დასაცველად, არამედ ზღვაში მტრის გემებზედ იერიშის მისატანადაც. მომგონთან ერთად ნავში იქნება რვა სხვა ზღვაოსანიც. აქამდე შეუძლებლად მიაჩნდათ, რომ კაცებს დიდხან შეეძლოთ გაძლება წყალ ქვეშ. გოლანდს ჰსურს დაამტკიცოს, რომ ესეც ადვილად მოსახერხებელიაო. მოგზაურობის დროს ნავს № 7 გამოჰყვება პატარა გემი და რამდენიც შეიძლება ახლო მიჰყვება მას, სანამ ნავი ზღვაზე იქნება. ღელვის დროს ნავი დაეშვება ისეთ სიღრმეზედ, სადაც ღელვა არ იქნება. ტალღები მის ზევით გადივლიან და ოდნავაც არ შეანძრევენ მას; ამის გარდა ამ ნავში მსხდომ კაცებს არც ეგრედ წოდებული ზღვის ავადმყოფობა დაემართებათ. სურსათი დამზადებულია იმ ვარაუდით, რომ სამყოფი იყოს, სანამ ცუდი ამინდი იდგება. ნავის მანქანებს ამოძრავებს გაზის მატორი, იმნაირი, როგორსაც ცეპელინი ხმარობს თავის ჰაეროსტატში. წყალ ზევით კი ნავს ამოძრავებს ელექტრონის ძალა. საჭმელიც ელექტრონის საშუალებით მზადდება. ყველა ჭურჭელი და რაც ნივთეულობა აქვს ნავში არის სამაგალითო სისრულით და სისუფთავით დამზადებული და მოწყობილი, განათება, გათბობა და ვენტილიაცია ელექტრონის საშუალებით. სანამ მოგზაურობას შეუდგებოდნენ, აპირობენ გამოსცადონ, თუ რამდენ ხანს შეუძლიან ნავს წყალს ქვეშ ყოფნა.

* * *

ერთის ბერძენ ექიმის გამოკვლევით, აცრის პირველ გამომგონებლად უნდა ჩაითვალოს მიტრიდატ პონტოელი. ყველა გიმნაზიელმა იცის, რომ მიტრიდატმა იცოდა 22 სხვა-და-სხვა ენა და, რადგანაც მას ძალიან ეშინოდა მოწამვლისა, როგორც ყოველ დესპოტს, მან თან-და თან შეაჩვია თავისი სხეული სხვა-და-სხვა შხამს. ამ მიზნისათვის იგი ყოველ დღე იღებდა რომელიმე შხამის განსაზღვრულ რაოდენობას, რომელსაც თან-და-თან უმატებდა, და ამ გვარად მისი სხეული ეჩვეოდა შხამს, ისე როგორც ცოფიანი ძაღლის დაკბენილი თან-და-თან ეჩვევა ცოფის შესუსტებულ შხამს. მაგალითად, გველის შხამის შესაჩვევად იგი იღებდა გველის შხამს ჯერ სულ პატარა რაოდენობას და მერე უმატებდა. მაგრამ რადგანაც მიტრიდატმა იცოდა ამ შხამის საშინელი ძალა, იგი ამასთანავე სვამდა იმ ცხოველების სისხლს, რომელნიც გველებს სჭამენ. ეს, რასაკვირველია, მხოლოდ მისი უვიცობით აიხსნება. მაგრამ აქ საყურადღებოა ის პრინციპი, რომლითაც პონტოს მეფე ხელმძღვანელობდა: იგი შეგნებულად ხმარობდა შხამს შხამისავე წინააღმდეგ, რაც შეადგენს დედა აზრს თანამედროვე სეროტერაპიისას.

საღამოს დეპეშები

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორის ავადმყოფობის დროს განუწყვეტლივ მოდიოდა, როგორც მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათა, ისე სასახლის და შინაგან საქმეთა მინისტრების სახელზე წოდებათა, დაწესებულებათა და სხვა და სხვა საზოგადოებათაგან და აგრეთვე კერძო პირებისაგან მრავალი განცხადება უქვეშევრდომილესის სიყვარულისა და ერთგულებისა. გარდა ამისა, ყველგან გარდახდილ იქმნა ერთგულ ქვეშევრდომების მიერ პარაკლისები ხელმწიფე იმპერატორის განკურნების შესავედრებლად. გაიგო რა ყველა ეს მის იმპერატორებითი უდიდებულესობამ, უმოწყალესად ბრძანა გამოეცხადოს ყველა წოდებათ, დაწესებულებათ და საზოგადოებათ გულითადი მადლობა თანაგრძნობისათვის.

ვაშინგტონი. პეკინიდან მიღებულ ცნობების თანახმად ინგლისი თანახმაა მოაწეროს

---

*) ნიშნობლივ: ვაჟთა გიმნაზიას—19550 მ., ქალთა გიმნაზიას—5500 მ., მარიამის ქალ. სასწ.—4900 მ., სახელოსნო სასწავლებელს—500 მ., სამრევლო სკოლას—300 მ., საქალაქო სასწავლებელს—1700 მ., ქართულ სკოლას—500 მ., ბერძნულ ორ სკოლას—300 მ., პუშკინის ორივე სკოლებს—3600 მ, და სახალხო ბიბლიოთეკას—400 მ., ეს უკანასკნელი სადგომის დათმობით.

ხელი სამშვიდობო პირობათა პროექტს, თუ იგი მცირეოდნათ იქმნება შეცვლილი. ინგლისის მიერ წარმოდგენილი ცვლილებანი იმდენად უმნიშვნელონი არიან, რომ სრულიად არ ეწინააღმდეგებიან შეერთებულ შტატების მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულობის პროექტს. ამერიკის მთავრობის აზრით, არარაფერი აღარ უშლის შეთანხმების მოხდენას. კონჯერის მიერ მიღებული უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, რომ გერმანიის ელჩი მუმმი მტკიცედ ადგია გერმანიის პირობას, რომ გერმანიის მთავრობა აღარ მოითხოვს აჯანყების მეთაურთა სიკვდილით დასჯას.

ლონდონი. დღეს პარლამენტს წარუდგინეს დოკუმენტები, რომელნიც შეეხებიან გერმანიასა და ინგლისს შუა 1900 წელს 13 სექტემბერს დადგენილს შეთანხმებას. პირველ ორ დეპეშაში ელჩი გაცფელდი და ლორდი სოლსბერი ატყობინებენ ერთმანეთს, რომ მათი მთავრობანი თანახმანი არიან შეთანხმების ჩამოგდებისა, დანარჩენი დეპეშები შეიცავენ რუსეთის, ავსტრო-უნგრეთის, იაპონიის, საფრანგეთის, იტალიის და შეერთებული შტატების პასუხებს იმ ნოტაზედ, რომლითაც მათ ეცნობათ ამ შეთანხმების შესახებ. ყველანი ეთანხმებიან იმ დედა აზრებს, რომელნიც გამოთქმულნი არიან შეთანხმებაში; ავსტრო-უნგრეთი და იტალია ფორმალურად მიემხრნენ მას. შეერთებულმა შტატებმა, როგორც უკვე ცნობილია, მიიღო პირველი ორი მუხლი, მესამე მუხლის თაობაზე კი მას თავისი აზრი არ გამოუთქვამს. საფრანგეთმა მხედველობაში მიიღო ეს შეთანხმება და მიემხრო იმ დედააზრს, რომელიც მის საკუთარ პოლიტიკას აქვს დადებული საფუძვლად, მაგრამ იგი შეჰნიშავს, რომ თუ ჩინეთის ხელშეუხებლობა დაცულ იქმნება, მაშინ იგი გარემოებათა დაგვარად მოიქცევა თავის ინტერესებისა და საკონვენციო უფლებათა დასაცველად. რუსეთი უერთდება საფრანგეთის პასუხს შესახებ პირველი ორი მუხლისა და მესამე მუხლის შესახებ ამბობს, რომ თუ ვინმე ეცდება ჩინეთის განაწილებას, მაშინ იგი შესცვლის თავის პოლიტიკას. იაპონია ამბობს თავის პასუხში, რომ იგი დაუყოვნებლივ ფორმალურად შეუერთდება შეთანხმებას, თუ შეთანხმებული სახელმწიფონი გარანტიას მისცემენ მას, რომ იმ შემთხვევაში მასაც თანასწორი უფლებანი ექნებაო.

პარიზი. ვარზეილი წინააღმდეგობას აცხადებს ამნისტიის წინადადების შესახებ, რადგანაც ამნისტია ხელს შეუშლის დრეიფუსის პროცესის გადასინჯვას (საწინააღმდეგო ხმები მარჯვენა მხრიდან). პურკერი იწონებს ამნისტიის პროექტს, რადგანაც მას მოჰყვება ქვეყნის დამშვიდებაო (მოწონების ხმები). სოციალისტი ბრეტონი ჰკიცხავს დიუ-პატი დე კლამს და გენერალ გონზსს, რითაც იწვევს პალატაში აღელვებას. შემდეგ იგიამტყუნებს გენ. ბილიოს და მელინს იმაში, რომ მათ სიყალბე ჩაიდინეს ანრის მონაწილეობით. მელინი პასუხს აძლევს ბრეტონს და ამბობს, რომ გენ. ბილიო თავის მოვალეობას ასრულებდა, რადგანაც თხოულობდა კანონის დაცვას (მოწონების ხმები ცენტრში). ბრისონი ამბობს, რომ როდესაც მან გაიგო ანრის მიერ ჩადენილი სიყალბის ამბავი, გარდასწყვიტა უთუოდ გადაასინჯვინოს დრეიფუსის პროცესი; ეს გარდაწყვეტილება თავის სასახელოდ მიაჩნია (მოწონების ხმები მარცხენა მხრიდან). შემდეგ ბრეტონი ჰკიცხავს გენ. მერსიეს (მოწონების ხმები უკიდურეს მემარცხენეთაგან). მელინი აცხადებს, რომ ბილიოს გამტყუნება, ვითომ ის ესტერგაზის იცავდა, არ არის მართალი. მართალი არ არის აგრეთვე ის ვითომ მან, მელინმა, ჩაიდინა სიყალბე. მილვუა ამნისტიის წინაალმდეგ ლაპარაკობს. ვალდეკ-რუსო აცხადებს, რომ დრეიფუსის საქმის შესახებ პალატამ უკვე გამოაცხადა ერთხელ სურვილი სამუდამოდ შეურიგდეს ამ საქმის შესახებ მოხდენილ განაჩენს. მთავრობამ იზრუნა მომავალზე და შეიტანა წინადადება ამნისტიაზედ, რომ ახალი აურ-ზაური აიცილოს თავიდან (მოწონება). პირველი მუხლი, რომელიც აცხადებს ამნისტიას ყველა იმ საქმეების შესახებ, რომელთაც კავშირი აქვთ დრეიფუსის საქმესთან, მიღებულ იქმნა უმეტესობისაგან; ხოლო შესწორება, რომელიც უარყოფდა ამნისტიას ლოლატისა და ჯაშუშობისათვის, მიღებულ იქმნა: კამათი გადაიდო ორშაფათისათვის.

შანჰაი. ბრიტანიის მთავარი კონსულის აზრით იანძეს ოლქის მეფის მოადგილეებმა დიდი გავლენა მოიპოვეს იმპერატორის სასახლეში. მათ გაგზავნეს თავიანთი ჯარები იმპერატორის დასაცველად და ამის გამო ისინი მოიპოვებენ მეტ გავლენას. ის გარემოება, რომ ტუნფუსიანი სინანფუში არ არის ეგრეთვე მდგომარეობის გაუმჯობესობას ჰნიშნავს.

შანჰაი. ცნობა მიიღეს, რომ ქვრივი დედოფალი თანახმაა შემდეგი საზავო პირობებისა: იმპერატორის სწრაფი დაბრუნება პეკინში, გადახდა 40 მილიონი გირვანქა სტერლინგისა, უცხოეთის ყოველ საელჩოსათვის დაწესება დამცველ რაზმებისა თითოში 2000 კაცი. დანიშვნა თითო უცხოელი მრჩეველისა ჩინეთის ყოველ პროვინციაში.

რედაქტორი **ალ. ჭყონია.**

გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

სასამართლოს ცნობები

ტფილისის სასამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულნია შემდეგი საქმეები:

2 დეკემბერს.

სიღნაღის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის უფროსის და მის თანაშემწეთა კაზიმიროვისა და როსლამოვისა, რომელთაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენის ბრალი ედებათ.

— იოსებ ყანჩელისა, რომელსაც ილია ყანჩელის მოკვლა ედება ბრალად.

— გიორგი თომულაშვილისა — ქურდობის ჩადენა ბრალდება.

5 დეკემბერს.

— თომა რაზმაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ჰბრალდება.

— ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა, რომელსაც დიფამაცია ჰბრალდება.

— პეტრე გახუაშვილისა — ქურდობის ჩადენა ედება ბრალად.

— ზაქარია თალამაძისა, იაკობ შილიმჩინაშვილისა, ივანე მერაბაშვილისა და გიორგი მარგიშვილისა, რომელთაც სამალავად არაყის გამოხდა ედებათ ბრალად.

7 დეკემბერს.

ქოდალოს პოლიციის ნაწილის ბოქაულის თავ. ჯორჯაძისა, რომელსაც სამსახურის დროს ჩადენილი ბოროტ-მოქმედება ედება ბრალად.

— პოლიციის ბოქაულის თანაშემწედ ნამყოფის მეფისაშვილისა, სამსახურის დროს ჩადენილი ბოროტ-მოქმედება ჰბრალდება.

9 დეკემბერს.

— იასე გოშაძისა, რომელსაც კაცის დასახიჩრება ჰბრალდება.

— სიმონ კორაშვილისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენის ბრალი ედება.

— ფილიპე გვისულიანისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1656 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

— სიდო ფიცხელაურისა, რომელსაც სასჯ. დებ. მე 940 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადების ბრალი ედება.

— მელიტონ გუჯარეიშვილისა, კაცის დასახიჩრება ედება ბრალად.

— კაცია ძიძამიასი — სასჯ. დებ. მე-1453 მუხ. აღნიშ. ბრალი ედება.

— სილოვან ქვიბიასი, კაცის დასახიჩრება ედება ბრალად.

12 დეკემბერს.

— დავით ტერიაშვილისა, რომელსაც მკვლელობის განზრახვის ჩადენა ჰბრალდება.

— ხახულ და ბესო ჯაფარიძეებისა, ქურდობის ჩადენა ჰბრალდებათ.

— სურამ ბეჟვაიასი, კაცის დასახიჩრების ბრალი ედება.

— გიორგი მეტონიძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენის ბრალი ედება.

ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში:

8 დეკემბერს.

ილია და გაბრიელ ჩხარტიშვილებისა, რომელთაც ქურდობის ჩადენის ბრალი ედებათ.

მეორე სისხლის სამართლის განყოფილებაში:

— გიო ფირანაშვილის და ილიკო სელაშვილისა, ქურდობის ჩადენის ბრალი ედებათ.

— მ. მოკლელიშვილისა და საბა ბერიძისა, რომელთაც მრუშება ედებათ ბრალად.

— იაკით და ლუკა ლაბაძეებისა, შეურაცხოფის მიყენება ჰბრალდებათ.

— სიმონ, აბრამ და იოსებ სამანიშვილებისა, რომელთაც მალადობა ჰბრალდებათ.

— ალექსი მანუკაშვილისა, მოქმედებით შეურაცხების მიყენება ჰბრალდება.

განცხადებანი.

1901 წლისათვის

მიიღება ხელის მოწერა

„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

უოველ თვიური ჟურნალი

„მ ო ა მ ბ ე“

(წელიწადი მერვე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

წლიური ფასის განაწილება:

პირველად — 5 მანეთი, 1-ლ აპრილამდე — 3 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე — 2 მანეთი.

უოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეექვსე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	4 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 კ.

წლიური ფასის განაწილება:

პირველად — 3 მანეთი, პირველ აპრილამდე — 3 მანეთი. თითო ნომერი — 3 კაპ.

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი — 10 კაპ., მე-4 — 5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში. ტელეფონი № 372.

ახალ გაღებულ

ხის ნახშირის საწყობში

(ვერის მოედანზე, უაფანთან)

იყიდება საუკეთესო ღირსების

ნახშირი წონით, - ფასი 50 კ.

მყიდველს მიეცემა კვიტანცია, რომელშიც აღნიშნული იქნება წონისა და ფასის რაოდენობა.

3—1

Открыта подписка на 1901 г. (2-й годъ изданія)

НА БОЛЬШУЮ ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

безъ предварительной цензуры

„СѢВЕРНЫЙ КУРЬЕРЪ“.

Въ основу своего міросозерцанія „Сѣверный Курьеръ“ полагаетъ идею единства европейской цивилизаціи, не исключающей началъ національной самобытности, и ставитъ своей цѣлью добросовѣстное изученіе русской жизни и освѣщеніе ея въ духѣ справедливости и развитія гражданственности. Въ этомъ смыслѣ „Сѣверный Курьеръ“ направляетъ всѣ усилія, чтобы быть вѣрнымъ выразителемъ прогрессивныхъ стремленій наиболѣе отзывчивой части русскаго общества. Придавая огромное значеніе совершающейся въ Россіи экономической эволюціи въ области земледѣлія и промышленности, „Сѣверный Курьеръ“ внимательно слѣдитъ какъ за самымъ процессомъ эволюціи, такъ и за всѣми происходящими на этой основѣ измѣненіями въ духовной жизни народа, всюду выдвигая надъ узко-эгоистическими личными и групповыми интересами благо и интересы трудящихся массъ безъ различія сферы приложенія ихъ труда. Серьезное вниманіе удѣляется выясненію и установленію правильныхъ отношеній между центромъ и окраинами на основѣ полнаго признанія и уваженія правъ личности, національности и началъ вѣротерпимости. „Сѣверный Курьеръ“ вѣритъ въ необходимость органическаго роста областного начала, желательность дальнѣйшаго расширенія сферы общественной самодѣятельности и потому отводитъ подобающее мѣсто вопросамъ земскаго и городского самоуправленія, областнымъ интересамъ и нуждамъ. Не меньшее значеніе придаетъ газета успѣхамъ русской школы и просвѣщенія и въ этой области ставитъ своей задачей сплоченіе и объединеніе усилій разрозненныхъ дѣятелей на просвѣтительномъ поприщѣ. Серьезное вниманіе удѣлено даже интересамъ науки, искусства и литературы.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ доставкой и пересылкой:	На годъ.	На 6 мѣс.	На 3 мѣс.	На 1 мѣс.
въ Россіи	10 руб.	5 руб.	2 р. 50 к.	1 руб.
за границу	16 „	8 „	4 „ — „	2 „

РАЗСРОЧКА допускается по четвертямъ, а для служащихъ (черезъ казначеевъ) по 1 р. въ мѣсяцъ (при подпискѣ на годъ въ теченіе первыхъ десяти мѣсяцевъ). ПОДПИСКА принимается только съ перваго числа каждаго мѣсяца.—ОБЪЯВЛЕНІЯ принимаются по цѣнѣ: 50 к. строка петита впереди текста и 20 к.—позади. Подписка принимается во всѣхъ главныхъ книжныхъ магазинахъ и въ конторѣ редакціи: С.-ПЕТЕРБУРГЪ, Бол. Морская ул., 5 (отъ 12 до 4 час. дня). Отдѣленія Конторы въ Москвѣ у И. К. Голубева, Покровка, д. церкви Іоанна Предтечи, и въ книж. магаз. Карбасникова; въ *Варшавѣ* и *Вильнѣ* въ книжн. магаз. Карбасникова.

Издатель *Кн. В. В. Барятинскій.*

Редакторы: *Кн. В. В. Барятинскій.* *К. И. Арабажинъ.*

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Декабря 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.